შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ადა ტრანსი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ასპინძა

2021

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ადა ტრანსი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 7-17

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა 7
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 11
შენიშვნა 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 12
შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 12
შენიშვნა 7. ფინანსური აქტივები 12
შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 13
შენიშვნა 11. ფინანსური ვალდებულებები 15
შენიშვნა 12. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან 15
შენიშვნა 13. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 16
შენიშვნა 14. სხვა შემოსავალი 16
შენიშვნა 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 16
შენიშვნა 16. პირობითი ვალდებულებები 16
შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 17
შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 წელი
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	1,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	38,963
ფინანსური აქტივები	7	266,868
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-
მარაგი		2,861
სულ მიმდინარე აქტივები		**310,546**
გრძელვადიანი აქტივები		
გადავადებული საგადასახადო აქტივები		45,579
ძირითადი საშუალებები	8	1,351,453
არამატერიალური აქტივები	8	144,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,541,041**
სულ აქტივები		**1,851,587**
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1,221,545
ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	381,373
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	10	2,062
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,604,981**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ფინანსური ვალდებულებები	11	521,379
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**521,379**
სულ ვალდებულებები		**2,126,360**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(274,773)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(274,773)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,851,587**

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ასპანიძე
დირექტორი

თინათინი ასპანიძე
ბუღალტერი

2021 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020 წელი
ამონაგები	12	230,771
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(164,894)
		65,878
სხვა შემოსავალი	14	9,752
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(62,380)
ფინანსური დანახარჯები	11	(259,208)
სხვა საგადასახადო ხარჯი		(81)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(398)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან		(28,305)
მოგება დაბეგვრამდე		**(274,741)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(32)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		**(274,773)**

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ასპანიძე
დირექტორი

თინათინი ასპანიძე
ბუღალტერი

2021 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 წელი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(274,773)	(274,773)
31 დეკემბერი 2020 წელი	-	(274,773)	(274,773)

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ასპანიძე
დირექტორი

თინათინი ასპანიძე
ბუღალტერი

2021 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	235,755
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(55,410)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**180,345**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
სესხის გაცემა	(258,280)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	895,130
ძირითადი საშუალებების შეძენა	(708,246)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(71,396)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გადახდილი პროცენტები	(35,714)
მიღებული სესხის დაფარვა	(71,375)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(107,089)**
საკურსო სხვაობის შედეგი	**(6)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**1,854**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**-**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**1,854**

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ასპანიძე
დირექტორი

თინათინი ასპანიძე
ბუღალტერი

2021 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ადა ტრანსი" შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ასპინძის რაიონი, სოფელი ნიჯგორი, ვარძიის ქუჩა, N 15. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თერჯოლა, სოფ. ბარდუბანი. საწარმოს დამფუძნებელი და მესაკუთრეა გიორგი ასპანიძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სატრანსპორტო საშუალებებით საიჯარო მომსახურების გაწევა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის რვა ივნისით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

გაცემული სესხები

გაცემულ სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები

სხვა საწარმოს კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომ-სახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად სა-შუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ადა ტრანსი"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მცირეფასიანი ინვენტარი	5 წელი
ფინანსური უკუიჯარით ფლობილი ძირითადი საშუალებები	8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში მიღებული საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6766

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციპიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების

დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაჰენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შენიშვნა 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020 წელი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,854
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-
სულ	**1,854**

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	36,555
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	940
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,468
სულ	**38,963**

შენიშვნა 7. ფინანსური აქტივები

	31 დეკემბერი 2020 წელი
მოთხოვენები გაცემული სესხებიდან	262,128
მისაღები პროცენტები	4,740
სულ	**266,868**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხებიდან პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 4 740 ლარი.

საწარმოს გაცემული აქვს სესხი ერთი წლის ვადით ფიზიკურ პირზე. სესხი გაცემულია დოლარში და სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 10.0 პროცენტს, რაც ახლოსაა საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან დოლარში გაცემულ სესხებზე.

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მცირეფასიანი ინვენტარი	ფინანსური უკუიჯარით ფლობილი ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
მატება	276	1,375,472	21,500	152,093	**1,549,341**
კლება					-
დეკემბერი 31, 2020	**276**	**1,375,472**	**21,500**	**152,093**	**1,549,341**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთა	(8)	(44,870)	(917)	(8,084)	**(53,879)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე					-
დეკემბერი 31, 2020	**(8)**	**(44,870)**	**(917)**	**(8,084)**	**(53,879)**
ნარჩენი ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	**267**	**1,330,602**	**20,583**	**144,009**	**1,495,462**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020 წელი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,176,345
მიღებული ავანსები	-
გადასახდელი ხელფასები	6,200
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	39,000
სულ	**1,221,545**

შენიშვნა 10. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020 წელი
გადასახდელი დღგ	13,335
გადახდილი დღგ	(12,291)
ქონების გადასახადი	81
ერთიანი სახაზინო კოდი	937
სულ	**2,062**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდაან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადსახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადაახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით.

შენიშვნა 11. ფინანსური ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020 წელი
ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	381,373
ფინანსური ვალდებულებები	521,379
სულ	**902,753**

ფინანსური დანახარჯები	**2020 წელი**
საპროცენტო ხარჯები	30,250
ზარალი ფინანსური უკუიჯარის ოპერაციიდან	212,679
სალიზინგო მომსახურების ხარჯი	7,718
სალიზინგო ქონების გადასახადი	8,560
სულ	**259,208**

მომავალი საიჯარო გადასახდელები	**ნაკლები 1 წელზე**	**1-5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**
ძირის გადახდა	381,373	521,379	-
პროცენტის გადახდა	104,862	51,936	-
სალიზინგო მომსახურების ხარჯი	37,513	43,397	-
ქონების გადასახადის ხარჯი	8,565	12,947	-
დღგ-ის გადახდა	95,817	113,340	-
სულ	**628,131**	**742,999**	**-**

ფინანსური ვალდებულებები წარმოქმნილია სალიზინგო კომპანიასთან დოლარში შესრულებული ფინანსური უკუიჯარის გარიგებებიდან. ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი შეადგენს სალიზინგო კომპანიისათვის მომდევნო ერთი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გადასახდელ ძირ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებების ვადა შეადგენს საანგარიშგებო თარიღიდან 2-3 წელს.

ზარალი ფინანსური უკუიჯარის ოპერაციიდან წარმოადგენს კომპანიის მიერ სალიზინგო კომპანიაზე ძირითადი საშუალებების გაყიდვასა და უკან შესყიდვას შორის ფასთა სხვაობას.

შენიშვნა 12. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან

	2020 წელი
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	230,771
სულ	**230,771**

შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან მიღებულია სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო იჯარით გაცემის შედეგად.

შენიშვნა 13. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2020 წელი
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	28,223
საწვავის ხარჯი	12,208
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	53,879
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	70,583
სულ	**164,894**

შენიშვნა 14. სხვა შემოსავალი

	2020 წელი
საპროცენტო შემოსავლები	4,761
შემოსავალი საგადასახადო შეღავათებიდან	4,991
სულ	**9,752**

შენიშვნა 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი
ხელფასის ხარჯი	37,658
ავტომანქანის იჯარის ხარჯი	15,500
საწვავის ხარჯი	5,849
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,372
სულ	**62,380**

შენიშვნა 16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში.

მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.